

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**  
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**№1/9                      2013 წლის 1 თებერვალი                      ქ. თბილისი**

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე**  
**თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო**  
**სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული**  
**სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ**

*(სათაური 2.12.2016 N1/279 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)*

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, ამავე კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე დადგინდეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები შემდეგი სახით: *(2.12.2016 N1/279 ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან)*

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ბ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ამბროლაურის, ზესტაფონის, სამტრედიის, საჩხერისა და ცაგერის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

გ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ე) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს ზუგდიდის, ოჩამჩირე-ტყვარჩელისა და გალი-გულრიფშის, სენაკის რაიონული სასამართლოებისა და ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები;

ვ) თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები;

ზ) გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს გორის, ახალქალაქის, ახალციხის, მცხეთისა და ხაშურის რაიონული სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

1<sup>1</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, აღმოსავლეთ საქართველოს მიეკუთვნება ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის, სიღნაღის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთისა და ხაშურის რაიონული, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, ხოლო დასავლეთ საქართველოს - ამბროლაურის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ცაგერისა და ხელვაჩაურის რაიონული, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. ამოქმედდეს 2017 წლის 6 ივნისიდან. (12.06.2017 N1/198)

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 თებერვლიდან.

### **გიორგი ოზგაიძე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი